ხელშეკრულება№ 181

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(საქონლის შესყიდვა)

ქ.გორი 09 ნოემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, მისი დირექტორის **გივი წვერავას** (შემდგომში - „შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ, **შპს ,,კომფორტ პლიუსი“ მისი დირექტორის ვანო მაისურაძის ს/კ 417878498** (შემდგომში - „მიმწოდებელი“) სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე 3 მუხლის 1 ნაწილის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა მე-8 მუხლის შესაბამისად, (მხარეთა შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია **CPV 31310000 - ქსელური როზეტები; CPV 44410000 - ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვის; CPV 31223000 - ნათურის ბუდეები; CPV 31531000 - ნათურები; CPV 31651000 - საიზოლაციო ლენტი ; CPV 44411100 - ონკანები; CPV ,31340000 - იზოლირებული კაბელის აქსესუარები** საქონლის შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **516 (ხუთას თექვსმეტი) ლარი.**

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

<u>3.5. ანგარიშწორება განხორციელდება საბიუჯეტო სახსრებით.</u>

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემდეგ მისამართზე: **ქ. გორი, ცხინვალის N6ა,** ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი

პირგასამტეხლოს ანაზღაურება

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია,

უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 09 ნოემბრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

„მიმწოდებელი“

შპს „კომფორტ პლიუსი“
მის: გორი, ცხინვალის N6ა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „თიბისი ბანკი“
საბანკო კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE38TB7385336020100001
ს/კ 417878498

ვანო მაისურაძე

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ გორის გ.ერისთავის სახელობის პროფესიული სახ. დრამატული თეატრი.
მისამართი: გორი ჭავჭავაძის ქ №24
ტელეფონი: 27-33-06
ს/კ: 217881424
სახელმწიფო ხაზინა
თეატრის დირექტორი
გივი წვერავა

Givi Tsverava

Digitally signed by Givi Tsverava
Date: 2020.11.10 12:54:52 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ხელშეკრულება N181, 09 ნოემბერი 2020 წ.

ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

"მიმწოდებელი" შპს კომფორტ პლიუსი (417878498)

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ მე-8 მუხლის - "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები"-ს შესაბამისად, ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი გივი წვერავა ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში ზემოთ აღნიშნულ მიმწოდებელთან მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თეატრის დირექტორი Givi Tsverava Digitally signed by Givi Tsverava Date: 2020.11.10 12:55:17 +04'00' **გივი წვერავა**

ხელშეკრულება N181, 09 ნოემბერი 2020 წ.

CPV კოდებზე გაწერილი დანახარჯი

დანართი 1

N	cpv -კოდი	საქონლის/მომსახურების დასახელება	ზ/ე	რ-ბა	ე/ფ	ჯამი
1	31531000	ნათურები ნათურა 22ვ		3	5	15
2	31340000	იზოლირებული კაბელის აქსესუარები დროსელი40ვ		3	6	18
3	31340000	იზოლირებული კაბელის აქსესუარები გადამრთველი თეთრი 1 ნი გარეთა		3	5	15
4	31340000	იზოლირებული კაბელის აქსესუარები დინ რეიკა სამაგრი პანელი		1	10	10
5	31340000	იზოლირებული კაბელის აქსესუარები დუბელ ლურსმანი 6-35		100	0.1	10
6	31340000	იზოლირებული კაბელის აქსესუარები ელ.დამცველის ყუთი 12-ნი ჩასასმელი		1	24	24
7	31340000	იზოლირებული კაბელის აქსესუარები ელ.დამცველის ყუთი 4-ნი მისადგმელი		1	9	9
8	31531000	ნათურები ლედ ნათურა T 8 9		10	6.5	65
9	31223000	ნათურის ბუდეებიმექანიზმი 4151 nova		1	20	20
10	31531000	ნათურები ნათურა სტანდარტული 15 W		7	12	84
11	31531000	ნათურები ნათურა E 27 60W		10	1	10
12	31531000	ნათურები ნათურა ვარვარა ლუქსრამი E 14 240V-60W		10	1.5	15
13	31340000	იზოლირებული კაბელის აქსესუარები პაკლი		1	1	1
14	31223000	ნათურის ბუდეები პატრონა		4	3	12
15	31223000	ნათურის ბუდეები პლასმასის პლაფონი IP 20		1	25	25
16	31310000	ქსელური როზეტები როზეტი 2ნიგარე მიყენების		3	6	18
17	31651000	საიზოლაციო ლენტი საიზოლაციო ლენტი 20მ		1	3	3
18	44410000	ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვისსანტეხნიკის ვინტილი 20-ნი		1	8	8
19	44410000	ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვის სასპნე დისპენსერი პლასმასის		4	15	60
20	31531000	ნათურები ფანარი 08		1	12	12
21	44411100	ონკანები შემრ.ონკანი MEGIDOGLU		1	40	40
22	44411100	ონკანები შემრ.ონკანი		1	30	30
23	44410000	ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვისხამუთი **32**		1	2	2
24	44410000	ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვის ხელსაბნის სიფონი 1ნი		2	5	10
		სულ				**516**

თეატრის დირექტორი **გივი წვერავა**

Givi Tsverava

Digitally signed by Givi Tsverava
Date: 2020.11.10 12:55:41 +04'00'